

# გიორგი და ძაღლი



## კლასი IV

### ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)

### მხატვარი – ზურაბ სულაკაური

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**RTI**  
INTERNATIONAL

გიორგი ხომ გახსოვს? ვიწრო, ქვაფენილიან ქუ-  
ჩაზე ხის აივნიან სახლში რომ ცხოვრობდა, ცოტა  
მორცხვი და გაუბედავი ბიჭი. ისიც გემახსოვრე-  
ბა, დეიდა ანამ მწვანე კეპი რომ აჩუქა. სწორედ  
იმ კეპის წყალობით იყო, ბიჭს ხეზე ასვლის რომ  
აღარ ეშინოდა და ბავშვებთანაც თავისუფლად  
თამაშობდა. ამიტომ ეს ქუდი გამორჩეულად უყ-  
ვარდა, თითქმის ყველგან თან დაატარებდა.

შემოდგომის ერთ თბილ დღეს გიორგი სკო-  
ლიდან შინ ბრუნდებოდა. სკოლა სახლთან  
ახლოს იყო, ფეხითაც შეეძლო მისვლა. ქვაფენი-  
ლიან ქუჩას ჩაირჩენდი და სკოლის ჭიშკარიც გა-  
მოჩნდებოდა. გიორგი დაღლილი იყო და ძალიან



შიოდა. სახლში მისვლამდე მაღაზიაში შეიარა, ფენოვანი ხაჭაპური იყიდა. სახლამდე ვერ მოითმინა, მაღაზიიდან გამოვიდა თუ არა, ჩაკბიჩა. უგემრიელესი იყო! მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ კრემიანი ფუნთუშის ყიდვაც უნდოდა. ჭამა-ჭამით მაღაზიაში შესვლის მოერიდა. ჩაკბეჩილი ფენოვანი ხაჭაპური იქვე მოაჯირზე ჩამოდო და ისევ უკან შებრუნდა ფუნთუშის საყიდლად. არ იცოდა, რომ იქვე, სახლთან ახლოს, ქუჩის შესახვევში, ძალლი იმალებოდა ხოლმე. ის ძალიან მშიერი იყო. როცა ბიჭი მაღაზიაში შევიდა, ძალლმა მოაჯირთან მიირბინა და ერთ ლუკმად გადასანსლა ფენოვანი ხაჭაპური. მერე ისევ შესახვევში მიიმალა.



გიორგი მალევე გამოვიდა მაღაზიიდან კრე-  
მიანი ფუნთუშით ხელში. მიიხედ-მოიხედა,  
ხაჭაპური ვერსად ნახა. ყველგან ეძება, თუმცა  
ამაოდ. ბოლოს ძებნას თავი დაანება. ალბათ ჩი-  
ტებმა შემიჭამესო, გაიფიქრა. მერე ფუნთუშას  
ქაღალდის პაკეტი შემოაცალა და ჩაკბიჩა. ერთ-  
ხანს სახლში წასვლა დააპირა, მაგრამ ძალიან  
შიოდა, მხოლოდ ფუნთუშა არ ეყოფოდა. დედა  
გვიანობამდე ვერ შეძლებდა სამსახურიდან დაბ-  
რუნებას, რომ სადილი მოემზადებინა. გადაწყ-  
ვიტა, კიდევ ერთი ფენოვანი ხაჭაპური ეყიდა.  
ნაჭამი ფუნთუშით მაღაზიაში შესვლის მოერი-  
და. ახლა ის ჩამოდო მოაჯირზე, თვითონ კი ისევ  
უკან შებრუნდა მეორე ხაჭაპურის საყიდლად.

როგორც კი ბიჭმა ფუნთუშა დადო, ძალლ-  
მა საჩქაროდ მიირბინა მოაჯირთან. ქაღალდის  
პაკეტს თათი გაჰკრა, ძირს გადმოაგდო და ისიც  
ერთ ლუკმად გადასანსლა. ძალლი ბედნიერი  
იყო: იღბლიანი დღე ჰქონდა, მთელი ფენოვანი  
ხაჭაპური მიირთვა და ზედ კრემიანი ფუნთუშაც  
დააყოლა! გემრიელი სადილის შემდეგ ისევ ქუ-  
ჩის კუთხეში შეუხვია.

გიორგი მაღაზიიდან გამოვიდა და დაინახა,  
რომ ცარიელი ქაღალდის პაკეტი ძირს ეგდო,  
ფუნთუშა კი სადღაც გამქრალიყო. ბიჭი შეფიქ-  
რიანდა, ვერაფრით მიმხვდარიყო, სად ქრებოდა  
მისი სადილი. პაკეტი ნაგვის ურნაში ჩააგდო.  
მერე უცებ რაღაც მოიფიქრა: ფენვანი ხაჭაპუ-  
რი შუაზე გატეხა. ნახევარი გარეთ დატოვა,  
მეორე ნახევარი ხელსახოცში გაახვია და ჩანთა-  
ში ჩადო. მაღაზიაში შევიდა, დახლს მოეფარა და  
თვალთვალი დაიწყო. ქუჩის კუთხიდან ძალი  
გამოვიდა და ხაჭაპურს მიუახლოვდა. გიორგი  
გარეთ გამოვარდა, რომ დაუპატიჟებელი სტუ-  
მარი გაეგდო, მაგრამ „სტუმარი“ უფრო სწრა-



ფი აღმოჩნდა. ვიდრე ბიჭი მასთან მირბენას მოასწრებდა, საჩქაროდ გადასასანსლა ხაჭაპურის ნატეხი და გაიქცა. სულ არ შეშინებია, ძალიან მოსწონდა გიორგის საჭმელი. არც შორს წასულა, იქვე ბუჩქის ძირას მიწვა დასაძინებლად.

მეორე დილას, გიორგი სკოლისკენ რომ მიდიოდა, ძალლი უკან აედევნა. ბიჭმა რამდენჯერ-მე სცადა მისი გაგდება, მაგრამ ცხოველი ისევ უკან ბრუნდებოდა. გიორგი ძალიან გაბრაზდა: ძალლთან ერთად ხომ არ მივიდოდა სკოლაში? ჯერ ხმამაღლა დაუყვირა, მაგრამ მას თითქოს არაფერი ესმოდა. მერე მუშტი მოუღერა. ძალლ-მა თავი ოდნავ გადასწია გვერდზე და ცნობის-მოყვარე გამომეტყველებით შეხედა, ნეტავ რას აპირებსო. გიორგი კიდევ უფრო გაბრაზდა და იფიქრა, როგორმე თუ არ მოვიშორე, თავს არ დამანებებსო. მიიხედ-მოიხედა, ქვაც კი არსად ეგდო. მეტი რომ ვერაფერი იპოვა, ჩანთიდან სკოლის წიგნი ამოილო და ესროლა.

წიგნიდან მათემატიკის რვეული ამოვარდა. ძალლმა დაინახა, როგორ ამოფრინდა რვეული-დან ფურცლები. იფიქრა, ესეც რამე გემრიელი

იქნებაო, მივარდა და კბილები ჩაავლო. ძალ-ლი ფურცლების შეჭმას ცდილობდა, მთლია-ნად დაღეჭა, მაგრამ ვერ ყლაპავდა. როგორც ჩანს, გემო მაინცდამაინც არ მოეწონა, დაჭმუჭ-ნილ-დახეული ფურცლები უკან გადმოყარა.

ო, არა! საშინაო დავალება გაუფუჭდა.

გიორგის კლასში შესვლა და ზარის დარეკ-ვა ერთი იყო. პირველი მათემატიკის გაკვეთილი ჰქონდათ. მასწავლებელმა გიორგის საშინაო და-ვალება მოსთხოვა. საბრალო ბიჭმა მას თვალი ვერ გაუსწორა. შემდეგ კი ჩუმად აუხსნა, რომ საშინაო დავალება ძალლმა შეუჭამა. ბავშვებს გაეცინათ. მასწავლებელი კი ძალიან გაბრაზდა. მან, რა თქმა უნდა, არ დაუჯერა გიორგის. შემდეგ „ტყუილის“ გამო დატუქსა კიდეც. გაკვეთილების შემდეგ და-ტოვა და დავალება ხელახლა გააკეთებინა.

შინ რომ ბრუნდებოდა, გიორგი ძალლს ისევ გადაეყარა. მაღაზიის გვერდით ბუჩქის ქვეშ იწვა. ბიჭი რომ დაინახა, ადგა და უკან გამოე-კიდა. ბიჭმა მისი მოშორება ისევ სცადა, მაგრამ ძალლი თავს არა და არ ანებებდა. ბოლოს გა-დაწყვიტა, ყურადღება არ მიექცია მისთვის.

გიორგი თითქმის სახლამდე იყო მისული. მხოლოდ ერთი პატარა ხიდი ჰქონდა გასავლელი. როცა შუა ხიდს მიაღწია, მოულოდნელად ქარმა წამოუბერა, ქუდი მოხადა და ხიდიდან გადაუგდო. გიორგიმ დაჭერა სცადა, მაგრამ ვერ მოასწრო. კეპი მდინარეში ჩავარდა და დინებამ წაიღო. ბიჭი ძალიან შეწუხდა, ეგონა, რომ თავისი საყვარელი მწვანე ქუდი დაკარგა. სიმწრის-გან კინალამ ატირდა კიდეც.

სწორედ ამ დროს დაინახა, როგორ ისკუპა ძალლმა მდინარეში და მისი ქუდისკენ გაცურა. ქუდი დინებას მიჰქონდა. ძალლი ქუდს დაეწია, კბილები ჩავლო და ნაპირისკენ გამოცურა. გიორგი შეშინებული უყურებდა.



— ახლა ალბათ ჩემს ქუდსაც შეჭამს, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

მალე ხიდის თავთან გამოჩნდა ძაღლი. გიორგისკენ გამოიქცა. ბიჭთან მოირბინა და ქუდი პირდაპირ ფეხებთან დაუგდო, თვითონ კი ღონივრად შეიფერთხა სველი ბალანი. გიორგი ძლიერ გაიწუნა, მაგრამ აღარ გაბრაზებულა.

— მადლობა, ძაღლუნა! — თქვა ღიმილით და სახლისკენ გაუდგა გზას.

რასაკვირველია, ძაღლი მას უკან გამოჰყვა და ისევ იმ ბუჩქის ძირას დაწვა.

გიორგიმ ბუჩქს გახედა, მერე მაღაზიაში შევიდა და ორი ხაჭაპური იყიდა: ერთი — თავისთვის, მეორე კი — ძაღლისთვის.

